# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 401

“20” დეკემბერი 2019 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, ქუჩა პეტრე და იოსებ ოცხელების, №24-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.33.002.060.01.503) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, “ქალაქ თბილისში, პეტრე და იოსებ ოცხელების ქუჩა, №24-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.33.002.060.01.503) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 20 ნოემბრის №19.1223.1533 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ქუჩა პეტრე და იოსებ ოცხელების, №24-ში, სართული 1, 53.08 კვ.მ ფართის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №01.19.33.002.060.01.503) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ლარად) პრივატიზებაზე, მოქალაქე ავთანდილ ბეგლარიშვილთან (პ/ნ 01029001750) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე